იმერეთი

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. **ცალკე ნუმერი ერთი შაური.** წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

კვირა 29 ივნისს

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ.
„ი მ ე რ ე თ ი“
თფილისის ქუჩა, ფირალოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში. სახლი ოცხელისა.
ტელეფონი № 4.

№ 92 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 92

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამწუხრებული ჭირისუფალნი ამით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობართ, რომ უდროვოთ გადაცვალებულის

დიმიტრი ივანეს ძის აბაშიძის

(ყოფილი ქიათურის ნატარიუსი) ერთი წლის წირვა, პანაშვიდი და გამოტირილი დანიშნულია სამშაბათს, 1 კვირკობისთვეს, დილის 10 საათზე, სოფ. საჯავახოში(?) წმ. გიორგის ეკლესიაზე.

ექიმის იკ. ბოკერიას

საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

ქუთაისი
პირველი კერძო სამკურნალო

სპეციალისტი ექიმებით.

მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დილით.

პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი **ვ. პ. მოსეშვილი** შინაგანი და ნერვების.

ბ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა.	1—2
გ. ს. ნადირაძე.—შინაგანი და ბავშვის	10—11
ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო ყოველ დღე	11—2
მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათაშანგი, ვენერ.	12—2
ვ. ა. **ჭოღოშვილი**—საბებ., ქალთა და შინაგ.	12½—2მ

საღამოთ.

გ. დ. **ქორქაშვილი**—თვალის ხუთშაბათობით	4½—5½
გ. ა. **ჭოღოშვილი**—საბებიო, ქალთა და შინაგ.	5½—6

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოღოშვილი

მევენახეთა საყურადღებოთ

ძმა ქორქოლაძეების მაღაზიაში

ქუთაისი, მიხაილოვის ქუჩ. საკ. სახლი.

მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის დიდძალი ინგლისური შაბიაბანი გირვანქა ცხრა კაპიკათ.

მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის დიდძალი ინგლისური შაბიაბანი გირვანქა ცხრა კაპიკათ.

ECLAIR
VERMOREL
V. VERMOREL
DELAYE

მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის დიდძალი ინგლისური შაბიაბანი გირვანქა ცხრა კაპიკათ.

მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის დიდძალი ინგლისური შაბიაბანი გირვანქა ცხრა კაპიკათ.

სპეციალური წიგნის მაღაზია

კონსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.

(ქუთაისში.)

აცხადებს, რომ იგი იწერს დიდძალ წიგნს რუსეთისა და საქართველოს ფირმებისაგან, რომლებზედაც მას აქვს პირდაპირი და სალავათიანი დამოკიდებულება, და გამოწერილ წიგნებს უკეთებს საუკეთესო ყდას ახლად გამართულს საკუთარ საკაზმავ სახელოსნოში.

ამის გამო მას, როგორც სპეციალურს და უდიდეს წიგნის მაღაზიას ქუთაისში, ეძლევა საშუალება დაუთმოს წიგნები მეტად სალავათიანი პირობებით ყველა განმანათლებელ დაწესებულებას: შკოლებს, ბიბლიოთეკებს, სამკითხველოებს და სხვ. პროვინციის წიგნის მაღაზიებს მიეცემათ ის დათმობა, რაც შეუძლიათ მათ მიიღონ რუსეთიდან წიგნების პირდაპირი გამოწერით, თუ იგინი ერთი თვით ადრე დაიკვეთენ წიგნებს.

მსურველთ ეგზავნებათ უფასოდ ქართულისა და რუსული წიგნების ახლად შედგენილი კატალოგები.

წიგნის მაღაზიის გვერდით გამართულია საუკეთესოთ მოწყობილი **საკანცელარიო მაღაზია დ. ოცხელისა,** სადაც მოიპოვება ყოველგვარი საკანცელარიო და სასწავლო ნივთი მეტად ზომიერ ფასად.

ქალაქის თეატრი

კვირას, 29 ივნის, **გრიგოლ ვეშაპიძე**

ლექციას

წაიკითხავს

არჩილ ჯორჯაძის

ფილოსოფიური შეხედულებანი

ლექციის შემდეგ გაიმართება

ბალი

დასაწყისი დილის 12 საათზე. ✖ ✖ ✖ ადგილების ფასი სხვადასხვა.

ქალ. ბათომი

საკრებულო დარბაზში 29 ივნისს ახალგაზდა მგოსანი ს. ტაიფუნი

გამართავს

საღამოს

მგოსან **აკაკის** მონაწილეობით

1. ი. ხარაიძე წაიკითხავს ლექციას ეგნატე ნინოშვილზე,
2. პროვინციელი სცენის მოყვარენი წარმოადგენენ ვოდევილს ერთ მოქმედებათ, გ. ნუცუბიძისა,
3. დივერტისმენტი: ახალგაზდა მგოსნები: ვ. ქუჩიშვილი, გ. ტაბიძე, ნ. ზომლეთელი, ტაიფუნი, კ. ბალავაძე და სხვანი წაიკითხვენ თავის ნაწარმოებს.

ბილეთების ფასი ჩვეულებრივია **დასაწყისი საღამოს** 8½ საათ.

გამგე ტაიფუნი.

მუშაობს

ხრესილის მადნეული წყლის

ძმ. ჟორჟოლაძეების

სამკურნალო აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს (რევმატიზმს)** სხვადასხვაგვარ **მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას (მალარიას) კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს** და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი **ექიმი,** სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში“ ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის“

თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა

კურსების მადნეული წყლის

აბანო,

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯევანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული **კ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო** იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშვების საყმაწვილოს. გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯევანიძე.**

ექიმი ბ. ა. მირაქოვი დაბრუნდა რუსეთიდან და გაახლო ავათმყოფების მიღება ყურის ცხვირის და ყელის.

დილის 9 ს.—12 ს., საღ. 5—8.

ლევაშოვის ქუჩა საკუთარი სახლი № 19, შეიძლება ივანოვის ქუჩიდანაც № 18.

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

ექიმი ვ. ი. კაკიტელაშვილი საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება საშარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები. მიღება დილის 9—12 საათ. და საღ. 5—7 საათ.

მისამართი: ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

ექიმი ა. მ. ასათიანი ღებულობს ავათმყოფებს. **ქალის, ვენერიული** (სიფილისი) და შინაგანის. საშარდე ბუშტის გაშინჯვა ელექტრონის შემწეობით (ცისტოსკოპით).

ხალვთო სჯულის მასწავლებელთა

საყურადღებოთ.

ქუთაისში, გ. გალუსტოვისა და ძმათა ოცხელების წიგნის მაღაზიებში, იყიდება ქართული საღვთო სჯულის წიგნი სამი წლის კურსით, შედგენილი ღვდ. აბითარ იაკობიშვილისაგან. წიგნში მოთხრობები სიმვოლო სარწმუნოებისა და ღვთის მსახურებაზე მდიდრულათ არის დასურათებული (130 სურათით); არის დაწერილი მომეტებული მარტივი ენით და მრავალი კითხვებით, რითაც თვით წიგნი იზიდავს მოწაფეთ და ძრიელ შთაბეჭდილებას ახდენს მათზე. წიგნი ღირს 2 აბაზათ. ვინც 10 ცალზე მეტს იყიდის, მათ 32 კ. დაეთმობათ. ვურჩევთ ყველას, ისარგებლონ ამ მშვენიერი სახელმძღვანელოთი.

სამოსწავლო მთავრობის ნებართვით

ამა წლის 1-ლ ეკენისთვიდან ვხსნი ვეგზლის ქუჩაზე, საკუთარ სახლში,

მე-3 ხარისხის მოსამზადებელ

სასწავლებელს

ორივე სქესის ბავშთათვის, რომელსაც მიზნათ ექნება ბავშვების მომზადება გიმნაზიების შესასვლელად მეორე კლასამდი.

ბავშების მიღება დაიწყება 20 აგვისტ.

ნინო მათეს ასული

ზოჯოლავასი.

ექიმი ი. ჩარექოვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს.

სხვა დროს ექიმი საავათმყოფოში.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, ზოლიცის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

დოკტორი მედიცინისა, პრივატ-დოცენტი **ვ. პ. მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.

გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

ქ. ქუთაისში

კბილის ექიმი

ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.

მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.

ტელეფონი 153.

სტუდენტი.

ვარლამ ფერაძე

ამზადებს მოწაფეებს **ყველა საგანში საშუალო სასწავლებლების** კლასებისათვის; აგრეთვე ამზადებს: აფთიაქის მოწაფეებს, 1 კლ. ჩინზე და სხვა.

ფასები ძლიერ ხელმისაწდომია.

მისამართი: ფოსტის შესახვევი, კ. მკურნალის სკოლა. ნახვა შეიძლება: დილით 9—12 საათ. საღამოთი 4—7 საათ.



საქართველოს ახალი ეგზარხოსი.

დეპეშით ცნობაა, რომ საქართველოს ეგზარხოსათ სამარის არქიეპისკოპოზი პიტირიმი დაინიშნაო. უკანასკნელ დროს ისე ხშირად იცვლებოდენ საქართველოს ეგზარხოსები, რომ მათ რთულ საეკლესიო პროგრამებზე ლაპარაკი შეუძლებელია. მათი მოკლე მოღვაწეობის დასახასიათებლათ მარტო იმის თქმა შეგვიძლია, რომ ერთნი მოდიოდენ მშვიდობიანურის განზრახვებით და ამას წინდაწინვე აცხადებდენ, მეორენი არაფერს არ ამბობდენ, მაგრამ საქმეს აკეთებდენ და ეს გაკეთებული საქმე ხშირად მავნებელი იყო ქართულის ეკლესიისთვის. ახალი ეგზარხოსი რუს იერარხთა იმ კატეგორისა ეკუთნის, რომელიც მშვიდობიანურის

განზრახვებით მოდის თავის ახალ სამწყსოში.

ახალი ეგზარხოსის დანიშვნაში ერთი გარემოება არის, რომელიც ძალაუნებურად იპყრობს ჩვენს ყურადღებას. ეს დანიშვნა საშინელის სისწრაფით მოხდა, მაგრამ არა გვგონია ეს სისწრაფე ახასიათებდეს სინოდის სფერების სულის კვეთებას, ასეთი სისწრაფე დანიშვნისა მაჩვენებელია იმისა, რომ ახალი ეგზარხოსის კანდიდატურის გარშემო, სინოდის სფერებში სრულებით არ ყოფილა ის ხანგრძლივი ბრძოლა, რომელიც ახასიათებდა განსვენებული ეგზარხოსის ალექსის დანიშვნას. მაგრამ შეიძლება განა აქიდან იმ დასკვნის გამოყვანა, რომ მშვიდობიანი პოლიტიკის მქონ ეგზარხოსის არჩევით, სინოდმა შეხედულება შეიცვალა საქართველოს ეკლესიაზე? თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ამხნის განმავლობაში სინოდში არაფერი არ შეცვლილა და მას ისევ ის ბრძოლა და ჯგუფები ახასიათებენ, რომელიც არსებობდენ უკანასკნელი წლის განმავლობაში, უნდა გამოვტყდეთ, რომ პირადი სულისკვეთება და მშვიდობიანი პოლიტიკა ახალი ეგზარხოსისა ძვირად თუ შესცვლის საქართველოს ეკლესიის რეჟიმს მიუხედავათ ამისა, გვაქვს რა კარგათ შეგნებული, თუ რას ნიშნავდა მუდამ პირადი განწყობილება ეგზარხოსისა საქართველოს ეკლესიისადმი უნდა ვსთქვათ, რომ ისევ ასეთი ეგზარხოსი თუ შესძლებს საქართველოს ეკლესიის მოვლას. და თუ არქიეპისკოპოზი პიტირიმი, მართლა, მშვიდობიანობის მომხრეა, ამაზე უკეთესს სინოდისგან ახლანდელ პირობებში, არც ჩვენ მოველოდით.

ჩვენი პრესა.

„სახალხო ფურცელში" იბეჭდება მეტად საინტერესო მოგონებანი განსვენებულის მსახიობის კოტე მესხისა. მოგონებანი სხარტულის, კოტე მესხისებურის მანერით არის დაწერილი და ბევრს ისტორიულ მასალას შეიცავს ქართული თეატრის აღორძინებისას. ისტორიულ მასალასთან ერთად მოგონებაში ბევრი ისეთი კურიოზებიც არის მოყვანილი, რაც განსვენებულის მახვილ გონებას, რასაკვირველია, არ გამოეპარეობოდა.

კოტე მესხი იგონებს ერთ წარმოდგენას თფილისში გამართულს, რომელშიც პირველად მიიღო მან მონაწილეობა და რომელშიც, სხვათა შორის, თავადი კირილე ლორთქიფანიძეც თამაშობდა.

> ამავე წელს თფილისშიც დავესწარი ერთს ქართულ წარმოდგენას, რომელიც პატივცემული კირილე ლორთქიფანიძის მეთაურობით გაიმართა. ადგენდენ ილიას „სცენებს".
>
> ეს წარმოდგენა შესამჩნევი ჩემთვის იმით იყო, რომ მაშინ პირველად გამოვედი სცენაზე. ვთამაშობდი გზირის როლს, უმნიშვნელოს, მაგრამ ჩემს მედიდურობას საზღვარი არა ქონდა, როდესაც შიშველ სახეზე დიდი ულვაშები და წვერი დამაკრეს, ისე ვიბერებოდი, თითქოს ჩემზე დიდი კაცი ქვეყანაზე არც დაბადებულიყოს.
>
> ამ წარმოდგენის შესახებ ერთი კურიოზი უნდა გავიხსენო: მომრიგებელი შუამავლის როლს თვით კირილე ლორთქიფანიძე თამაშობდა და რეცენზია ამ წარმოდგენისა მაშინდელ „დროებაში" თვითონ მან დასწერა. თავის როლზე ასე ქონდა ნათქვამი: „მომრიგებელი შუამავლის როლის ამსრულებლის მაგიერ სცენაზე რო მუთაქა დაედვათ სულ ერთი იქნებოდა".

სამწუხაროთ, როგორც განსვენებულის ძმა დავით მესხი აცხადებს, მოგონებანი დასრულებული არ არის და შეიცავს მხოლოდ მცირე ნაწილს იმისას, რაც ორმოცი წლის განმავლობაში უნახავს, უგრძნია და გაუკეთებია განსვენებულ კოტე მესხს.

მასწავლებელთა კავშირი

ჩვენი ერის დედა-ბოძს მშრომელი ხალხი, უმთავრესათ გლეხობა, შეადგენს და სოფლის წინსვლასა და განვითარებას მეტათ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ცხოვრების დაწინაურებისთვის. ხოლო სოფლის გამოფხიზლებაში, აღორძინებაში, განვითარებაში და იქ დამარხულ პოტენციალურ ძალთა ამოძრავებაში მასწავლებელს შეუძლია ერთობ დიდი როლი ითამაშოს, რადგან ის სოფელთან ყველაზე უფრო დაახლოებულია. გარდა ამისა, ის აღმზრდელია მოსწავლე ახალგაზრდობისა, საზოგადოების მომავალი იმედისა და ნუგეშის, და მასზეა დამოკიდებული, თუ რა გრძნობებს ჩაუნერგავს ბავშვებს, რა შვილებს შესძენს მშობელ ერს...

ამნაირათ სოფლის მასწავლებლის როლი ერის ცხოვრებაში განუსაზღვრელია.

ტყუილათ არ ამბობენ, რომ ომში იმარჯვებს არა „ხიშტი" და ტლანქი ძალა, არამედ სოფლის მასწავლებელიო.

სოფელში ყოველივე სკოლა განათლების ცენტრათ უნდა გადაიქცეს, სადაც მასწავლებლის ხელმძღვანელობითა და მეცადინეობით სახალხო საუბრები, კითხვები, სალიტერატურო დილა-საღამოები, წარმოდგენები და პოპულიარული ლექციები უნდა იმართებოდეს; ის უნდა უდგეს სათავეში საღამოს კურსებს მოზრდილთათვის და საკვირაო სკოლებს; მისი დახმარებით უნდა იხსნებოდეს კოოპერატიული დაწესებულებანი, ეწყობოდეს ექსკურსიები და სხვ. მან ხალხის ნდობა და პატივისცემა უნდა დაიმსახუროს და მასთან ერთად იცინოდეს, მასთან ერთად სტიროდეს...

მან უნდა განავითაროს ხალხი გონებრივათ, შეიტანოს მასში ოვითცნობიერება, გაუშუქოს ცხოვრების გზა, ცუდი ზნე-ჩვეულებანი მოაშლევინოს, სწორ გზაზე დააყენოს, შეაგნებინოს მას თვისი მოვალეობა...

თავის რეზოლუციებში ასეთი მოღვაწეობა დააკისრა მათ სახალხო მასწავლებელთა პირველმა კრებამაც.

რაც შეეხება სკოლაში სწავლების საქმეს, მასწავლებელმა, რასაკვირველია, ის უნდა აწარმოოს საღი პედაგოგიური პრინციპების მიხედვით იმდენათ მაინც, რამდენად არსებული კანონები ამის უფლებას იძლევა; მან უნდა სკოლას ცხოველმყოფელი სული შთაბეროს, გაამეფოს იქ თავისუფალი, სპეტაკი სული, გააჩინოს სითბო, ჩაუნერგოს ბავშვებს ნორჩ გულში სიყვარული დედა-ენისადმი და სამშობლოსადმი, აღუძრას ხალისი ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის ძიებისა, შეაგნებინოს ადამიანის უფლებისა და ღირსების დაცვისა და პატივისცემის საჭიროება...

ეჭვს გარეშეა, რამდენათ უფრო შეგნებული და განვითარებულია მასწავლებელი, იმდენათ უფრო კარგად დააყენებს სწავლის საქმეს, იმდენათ მეტს სარგებლობას მოუტანს სოფელს, მეტ აზრიანობასა და შინაარს შეიტანს თავის დიდმნიშვნელოვან საქმეში.

ამიტომ საჭიროა მასწავლებელთათვის რიგიანათ მოწყობილი კურსები საზოგადო განვითარებისა და პედაგოგიური მეცნიერებისა, აგრეთვე წიგნები და ჟურნალ-გაზეთები სხვადასხვა დარგიდან; გარდა ამისა, სასურველია, რომ ხშირად იმართებოდეს მასწავლებელთა კრებები, ექსკურსიები და ყოველივე, რაც ხელს შეუწყობს მათი გათვითცნობიერებისა და სწავლაგანათლების საქმეს.

ტყუილათ არ უთქვამს სოკრატს: „ვისაც სურს ქვეყანა წინ წასწიოს, დე, იმან თვითონ წაიწიოს პირველადო".

მაგრამ მასწავლებელთა თვითგანვითარება და ნაყოფიერი მოღვაწეობა დამოკიდებულია მათს ნივთიერ უზრუნველყოფაზე. ამისათვის ყოველივე ღონე უნდა იხმარონ, რათა გააუმჯობესონ თავისი მატერიალური მდგომარეობა როგორც ჯამაგირის მომატებით, ისე ურთიერთის დახმარებით.

უპირველესად კი საჭიროა დაარსდეს მასწავლებელთა პროფესიონალური კავშირი, რადგან ხოლო კავშირების, ასოციაციებისა და მათი ბიუროების დაარსებას შემდეგ შესაძლებელი იქნება ფიქრი სკოლის განახლებაზე, მის თავისუფალ მოქმედებაზე, მასწავლებელთა ნივთიერის, სულიერისა და ზნეობრივი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე...

ადამიანი, თუ განკერძოებით მოქმედობს, რაც უნდა მომზადებული და ღონიერი იყოს, მაინც უძლური არსებაა; დიდ ძალას მხოლოდ მაშინ წარმოადგენს და დიდ ნაყოფს მხოლოდ მაშინ გამოიღებს, თუ ის შეკავშირებულია სხვებთან და მოქმედობს გაერთიანებული ორგანიზაციის მიერ შედგენილი გეგმის მიხედვით.

რასაკვირველია, არსებულ პირობებში ყველაფრის გაკეთება შეუძლებელი იქნება, ინიციატორებს ბევრი დაბრკოლების გადალახვა მოუწევთ, მაგრამ ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ რა შეგნებას, ენერგიას, უნარს, ფხას, საქმიანობასა და სოლიდარობას გამოიჩენენ თვით მასწავლებელნი.

საჭიროა საზოგადოებამაც ხელი შეუწყოს, დახმარება აღმოუჩინოს მასწავლებელთ, ვინაიდან ისინი საერთო, საზოგადო საქმეს ემსახურებიან, ხოლო უმთავრესად თვით მასწავლებლებმა უნდა გაჭედონ თავისი ბედი.

ახლა, ზაფხულში მასწავლებელნი თავისუფალი არიან, ზოგიერთ დაბა-ქალაქში მათთვის კურსებია მოწყობილი, იქ-აქ ექსკურსიები იმართება, და ადვილად შეუძლიათ მოილაპარაკონ ამ დიდმნიშვნელოვან საკითხის შესახებ.

კმარა, რაც დრო დავკარგეთ!..

ახლა მაინც შევუდგეთ საქმეს!..

ვ. კაკაბაძე.

ქუთაისი.

ახალი ამბავი.

უკვე შეუდგა ბეჭდვას და აგვისტოსათვის მზათ იქნება სილოვანის სრულ თხზულებათა პირველი ნაწილი (ლექსები). ვინც წინდაწინ გააცხადებს წიგნის შეძენის სურვილს, იმას წიგნზე 25 პროც. დაეთმობა და ფულს მხოლოდ მაშინ გადაიხდის, როცა წიგნს მიიღებს. წიგნში მოთავსებული იქნება ყველა ლექსი, რაც ავტორს დღემდი დაუწერია, დაახლოებით სამასგვერდიანი იქნება, მოზდილი ფორმატისა, და ეღირება არა უმეტეს ერთი მანეთისა. -- ამ მოკლე ხანში გამოვა განცხადება, სადაც დასახელებული იქნებიან აგენტები, რომელნიც ამგვარ ხელის მოწერას მიიღებენ.

◆ ქ' მოსკოვის უნივერსიტეტთან არსებულ ი. ჭავჭავაძის სახელობის წრე 30 ამ თვეს ახალ სენაკში მართავს ლიტერატურულს მუსიკალურ საღამოს. შემდეგ გაიმართება ცეკვა.

◆ დღეს ქალაქის თეატრში მსახ. ალ. მგალობლიშვილის მეთაურობით გაიმართება იაფფასიანი წარმოდგენა. პირველად წარმოადგენენ ცნობილ პიესას „კრეჩინსკის ქორწინება" კომედიას 3 მოქმედებათ. მეორეთ წარმოდგენილი იქნება ვალ. გუნიას ვოდევილი „არც აქით და არც იქით".

◆ ამ უკანასკნელ ხანებში ქუთაისში სახადი „ტიფი" ძლიერ ვრცელდება. ამ ავათმყოფობას იწვევს უმეტესათ სიბინძურე. ეს სიბინძურე უფრო იმ ადგილებშია, სადაც საჭმელი მზადდება (სასტუმროებში), აგრეთვე მეხილეებში. ძველი საჭმელი და დამპალი ხილი ავათმყოფობის ბაცილებს ავრცელებს. დიდი სიბინძურეა აგრეთვე ეზოებშიაც. ეს სიბინძურე ბუზებს აჩენს და ბუზები ათასგვარ ავათმყოფობას ავრცელებს. ქუთაისში უკვე არსებობს სანიტარული კომისია, თავისი ექიმით, რომელმაც ასეთ ადგილებს ყურადღება უნდა მიაქციოს. საჭიროა, ხსენებული კომისია ხშირათ ჩამოივლიდეს, განსაკუთრებით სასტუმროებს და მეხილეებს და ასეთ სიბინძურეს აკრძალავდეს.

ქალაქის მშრომელმა ხალხმა რიცხვით 300-მდი, გუბერნატორთან შუამდგომლობა აღძრა შესახებ იმისა, რომ ამ ჟამათ საბაკალეინო და საწვრიმალო სავაჭროები სხვა სავაჭროების ნორმალურ დასვენების სავალდებულო დადგენილებას ექვემდებარებიან. თავის მდგომარეობას აღნიშნვენ: ჩვენ როგორც ღატაკები დღიური ქირით ვცხოვრობთო, მაგრამ, საუბედუროთ, როცა სახლში საღამოობით ვბრუნდებით დუქნები დახურული გვხვდება და სიმწრით ნაშოვნი ორი გროშით სანოვაგესაც ველარ ვშოულობთო. ამიტომ მოითხოვენ გუბერნატორისგან, რომ მან ქალაქის საბჭოს წინადადება მისცეს ეს საკითხი სამართლიანათ იქნეს გამორკვეული გუბერნატორის მიერ არჩეული პირის თანადასწრებით. ხსენებული დუქნების გაღებას თხოულობენ დილის 7 საათზე და დაკეტას კი საღამოს 10 საათზე. ამით, დასძენენ მთხოვნელები, საშუალება მოგვეცემა მთლათ მშივრები არ დავრჩეთო.

◆ როგორც გოდოგანიდან გვატყობინებენ, იქ მომუშავე უცხოელ პროფესორ შმიდს და ლ. კოზტოვსკის უკვე დაუსრულებიათ კვლევა-ძიება მოწამეთის მიდამოებში ქვის ხანის ნაშთებისა და ქუთაისისკენ წამოსულან. ამ მოკლე ხანში ამ ადგილების დასათვალიერებლად წავლენ ბ. კოზტოვსკი, დოკტ. ფილ. მარგველაშვილი და ჭირაქაძე, მიწის სხვადასხვა პლასტის ჩამოსატანათ. შემდეგ ეს მიწა გადაეცემა ისტორიულ ეტნოგრაფიულ საზოგადოების მუზეუმს.

◆ ჭიათურის შავიქვის საბჭოს ტეხნიკური განყოფილება ქუთაისში ჭიათურის შავიქვის საბჭოს შემდეგს ატყობინებს:

ღამით, 26 ივნისს, მოვიდა დიდი წვიმა. მდინარე ყვირილამ სამი არშინი სიმაღლე მოიმატა, რამაც ჭიათურის რაიონს დიდი ზიანი მიაყენა: წაიღო ბაზრის საქვეითო ხიდი და დ. ჯარბელაში მღვიმევის მონასტრის ქვევით ორი ხის ხიდი. რამდენიმე სოფელში სახლებიც დაანგრია და, როგორც ამბობენ, ორი ადამიანიც უმსხვერპლია, რომელნიც საქვეითო ხიდზე მიდიოდენ.

ჩვენ შემდეგი ზარალი მოგვაყენა: 1) წაიღო მაზუთის მილი, რომელიც გაყვანილი იყო მდ. ყვირილაზე; 2) წყლითა და ტალახით აივსო სამანქანო განყოფილების ეზო, რომელშიც მუშაობა შესწყდა; 3) გაღუნა სამი რკინის ბოძი, რომლის საშუალებითაც ჭიქოურაში ელექტრონის ძალა გადიოდა; 4) დიდათ დაზარალებული არის ჭიქოურის წყლის საზიდავი სადგური, და გზები ძლიერ წამხდარი არის.

უზიანოთ დარჩა მხოლოდ მეჩხერის ქვედა სადგური. ზარალის რაოდენობა ჯერ გამოურკვეველია.

◆ გუშინ ქალაქის გამგეობაში ყასბებმა, რიცხვით 16-მა, თხოვნა შეიტანეს და თხოულობენ, რომ ხორცის ნიხრი არ შეამცირონ, ვინაიდან ამ ჟამათ საქლავი საქონელი გაძვირდაო.

◆ 27 ივნისს ქუთ. სადგილ-მამულო ბანკში შესდგა მეორე საჯარო ვაჭრობა ქუთაისის გუბერნიის, ბათომისა და სოხუმის ქალაქის სოფლების მამულებისა. ამ მამულებიდან 3 გაიყიდა და სამი ბანკს დარჩა.

◆ დღეს საოლქო სასამართლოს უფროსი თავჯდომარე კომისიით რაჭა-ლეჩხუმში მიემგზავრება მომრიგებელ მოსამართლეების სარევიზიოთ.

◆ გუშინ ქუთაისის ბაზარზე აბრეშუმის ჭიის პარკი ფასობდა პირველი ხარისხის 21 მანეთად მეორესი—20 მან. და მესამესი—19 მანეთად.

◆ 27 ივნისს მომრიგებელმა მოსამართლემ გაარჩია 10 ებრაელის საქმე, რომელნიც სასამართლოსაგან ათ-ათი მანეთით დაჯარიმებული იყვენ სანიტარული წესის დარღვევისთვის.

◆ ქალაქის გამგეობას ქალაქის სავათმყოფოს გამგეობა ატყობიებს, რომ საავათმყოფოში შესაკეთებელია, ფეჩები, სამზარეულოში ,,პლიტა'' და აგრეთვე უნდა დაიდგას საქონლისათვის ცალკე ხის სახლიო.

◆ პეტერბურგის ბირჟაზე 27 ივნისს ქუთაისის საადგილ მამულო ბანკის გირავნობის ფურცლები 78 მანეთად ფასობდა.

თფილისი

— სამელიორაციო კრების მოსაწვევათ მეფის მოადგილის საბჭომ საერობო თანხიდან 2,000 მან. გადასდვა.

— ,,ბრძოლა'' საქალაქო მიწის მითვისების წინააღმდეგ. როგორც მკითხველებმა იციან, თფილისში მრავალი მაგალითი მოხდა კერძო პირთა მიერ საქალაქო მიწის მითვისებისა. ამ ბოროტების მოსპობა ამ ჟამათ იკისრა ქალაქის მეთერთმეტე (ნაძალადევი) უბნის სავაჭრო საპოლიციო აგენტმა კალისტრატე ფირცხალაშვილმა, რომელმაც ქალაქის გამგეობას საგანგებო განცხადება წარუდგინა. განცხადებაში კ. ფირცხალაშვილი სწერს: ჩემი რაიონი დიდია, სავაჭრო პოლიციის შტატი კი მცირე, რის გამოც საშუალება არ არის ყველგან თვალყური ვადევნოთ, რომ ქალაქის მიწა არ მიითვისონ. ამიტომ კ. ფირცხალაშვილი განცხადებაში გამგეობას სთხოვს, უყიდოს მას 15 მანეთიანი დურბინდი, რომლის საშუალებითაც იგი თავის ფართო. და ვრცელ რაიონში ზვერას დაუწყებს მცხოვრებთ და სათავეში მოსპობს მათ განზრახვას საქალაქო მიწის მითვისებისას. განცხადებამ, რასაკვირველია, გამგეობაზე შესაფერი შთაბეჭდილება მოახდინა და გამგეობის წევრმა ი. ა. ჯაბარმა რეზოლუციის მაგიერ მიაწერა: „უკეთესი არ იქნება სათამაშო ქაღალდი ვიყიდოთ და იმაზე იმკითხაოს ბ-ნმა ფირცხალაშვილმა.

ამერიკული ვაზის სანერგეები. მევენახეობისა და მეღვინეობის თფ. საგუბერნიო კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს ამერიკული ვაზის ორი სანერგე გააშენოს კახეთსა და გორის მაზრაში. თითოეული სანერგე უნდა იყოს 50 დესეტინის მანძილზე. ეს საქმე, კომიტეტის აზრით, უნდა განხორციელდეს ნაწილ-ნაწილათ. პირველად, 1914 წელს, კახეთში უნდა გაშენდეს 10 დესეტინა და შემდეგ წლებში თანდათან უნდა მოემატოს ათ-ათი დესეტინა, ვიდრე 50 დესეტინა შესრულდებოდეს. 1915 წელს სანერგე 10 დესეტინის მანძილზე უნდა გაშენდეს გორის მაზრაში და საქმე უნდა განხორციელდეს თანდათან ისე, როგორც კახეთში. ამ გეგმის მიხედვით წელს კომიტეტი სანერგის გაშენებას შეუდგება კახეთში, სახელდობრ ჩუმლაყის საგარაკოში. ამ საქმისათვის წელს საერობო თანხიდან გადადებულია 8,000 მან. სანერგის ხაყრის თაობაზე მოსალაპარაკებლათ კომიტეტს კრება ექნება 30 ივნისს.

ადესა.

ამ დღეებში გაიმართა აქ პოეტების საღამო. მონაწილეობას იღებდა 15 პოეტი. წაიკითხეს თავისი ლექსები. ამ თხუთმეტი პოეტის შორის ჩვენი თანამემამულე ცაგარეიშვილიც (ცაგარელი) იყო. ამბობენ ნიჭიერი პოეტიაო ეს ის ცაგარეიშვილია, რომელმაც ამ სამი კვირის წინათ პირველი ხარისხის დიპლომით დაასრულა ფილოლოგიური ფაკულტეტი. ცაგარეიშვილი გულმოდგინეთ თვალყურს ადევნებს თავის თანამემამულე ქართველ პოეტების ლექსებს.

ხონის კურსების გამო.

ამ დღეებში გაზეთებში დაიბეჭდა ორი-სამი წერილი ხონის პედაგოგიური კურსების შესახებ, რომლის ავტორებიც დიდ იმედს იძლევიან, გვარწმუნებენ კიდეც, რომ ეს კურსები გვაცხონებს ჩვენ, დადებს მალამოს ჩვენს ტკივილებს, რომ ამ კურსებზე თავმოყრილი მასწავლებლები არ გვანან წინანდელ კურსისტებს, ესენი მედგრად იბრძოლებენ ყოველგვარი უკუღმართობის წინააღმდეგ და დაიცავენ საღი პედაგოგიის პრინციპებს. „მოხდა ის, რასაც" არ მოველოდით, რისი წარმოდგენაც არ შეგვეძლოო, იწერებიან წერილში. რა მოხდა, ვინ აღმოაჩინა ამერიკა, რა იყო ასეთი? ჯერ არაფერი, გარდა იმისა, რომ გაიხსნა კურსები, და გახსნისას იქნა წარმოთქმული რამდენიმე გრძნობიერი, სიტყვა რა არის აქ საუცხოო! ეს ასე ხდება ყოლგან და ყოველთვის, და აქაც ასე უნდა მომხდარიყო, ჩემის ფიქრით. თავის სიტყვებში ლანძღვით ხომ არ მოიხსენებდენ მასწავლებლებს. როგორც საზოგადოთ არის მიღებული, მოულოცეს კურსების გახსნა, უსურვეს, რომ კურსებს ახალი ცოდნა და გამოცდილება მიეცა მათთვის და განახლებული ძალითა და ენერგიით ემუშავნათ შემდეგში.

ეს მხოლოდ ცარიელ სურვილია, განხორციელება კი მასწავლებლების საქმეა. დაჯხვედავთ კი ამის მგავსს რაისეს? ჯერჯერობით ვერაფერს. ამ კურსებზე ვხედავთ იმას, რაც უკვე დავინახეთ შარშან ქუთაისის კურსებზე, წინათ ბათომში ტერ-გასპარიანცის ხელმძღვანელობით გამართულ კურსებზე და სხვ. აბა სად ბრძანდებოდა ის დიდი უმრავლესობა მასწავლებლებისა, რომელიც ვითომდა უკვე გამოფხიზლებულა და კეთილი მისწრაფებით გამსჭვალულა, როცა ერთი ამხანაგთაგანმა განაცხადა გაკვეთილის გარჩევაზე, რომ სიტყვა „бѣда" რუსულათ ახსნის და იმაზე მაგალითების მოყვანის მაგიერად, უმჯობესი იქნებოდა გადათარგმნილ იყო ქართულად; ამით არც ბავშვებს ჩავაყენებდით უხერხულ მდგომარეობაში და არც იმდენი დრო დაიკარგებოდა ტყუილ-უბრალოდ. ამის გამგონე თავჯდომარე-ინსპექტორმა ხმის ამოუღებლივ დააჯინა ის მასწავლებელი და ამაზე შემდეგ კრიტიკაც არ დასძრა. თითქო საკითხი უკვე გაირჩა. რატომ არ ამოიღო ამის შესახებ არც-ერთმა მასწავლებელმა ხმა, რატომ არ გამოსთქვეს თავისი აზრები, რამ დაამუნჯათ.

სად იყო ამ დროს ის კომისია, რომელიც თითქოს არჩეულია იმისთვის, რომ სანიმუშო გაკვეთილის კონსპექტები გადაათვალიეროს, ყოველგვარი საზოგადო საპედაგოგიო საკითხები გაარჩიოს, თვალყური ადევნოს, რომ ვინმემ მუნჯური მეთოდი არ გაატაროს გაკვეთილზე?

სწორედ ამ მუნჯური მეთოდით გადასცა გაკვეთილი ერთმა მოვარჯიშეთაგანმა და აბა ვინა სთქვა, რომ მან ცუდი საქმე ჩაიდინა, უღალატა საღ. პედაგოგიკას. თუ ვინმეს გაუწყრა ღმერთი, შესცდა და გადუთარგმნა ქართულად მოწაფეებს ძნელი გასაგები სიტყვა, ეს დიდს შომაკვდინებელ ცოდვათ ითვლება. თითქმის ყვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა დამსწრეთაგანი აცხადებს საერთო სხდომაზე გაკვეთილის გარჩევის დროს ამ შენიშვნას, უკანასკნელი იწერება პროტოკოლში, და ამით დაბინებული მასწავლებელი ყოველის ღონის ძიებით ცდილობს შემდეგში მაინც აიშოროს თავიდან ბუნებრივი გადაცემა და დაუბრუნდეს ათასჯერ დაგმობილ მუნჯურ მეთოდს. ეს კიდევ არაფერი.

მასწავლებლები-კურსისტები ცდილობენ როგორმე, რაც შეიძლება, მეტი შენიშვნები გაუკეთონ ამხანაგ-მოვარჯიშეს, რომ მით დაიმსახურონ უფროსის ყურადღება, როცა ამავე მასწავლებელმა შენიშნას აერთო სხდომაზე ამხანაგებს, რატომ დაწვრილმანდენ ისინი, რატომ დაეცენ სულით ისე, რომ სულ უბრალო რამეებს აქცევენ ყურადღებას, და რაც საჭიროა, რაც მუდამ თვალწინ უნდა გვედვას, იმას ვერ ხედვენო, თავმჯდომარემ ის გააჩუმა, სიტყვა აღარ მოათავებია, ხოლო ამხანაგებმა კი ხმა გაკმინდეს, თითქოს არაფერი მომხდარაო.

რა ეკუთნოდა ასეთ დროს მასწავლებლებს? ნუთუ გაჩუმება?! რატომ არ მოითხოვეს, რომ ამხანაგ-მასწავლებელს თავისი აზრი გამოეთქვა, დაესრულებია სიტყვა, და მით გაეგო ყველას, რისი თქმაც უნდოდა მას.

შეიძლება, მართლაც, იყოს რამდენიმე ისეთი მასწავლებელი ამ კურსებზე, რომლებიც გამსჭვალული არიან კეთილი მისწრაფებით, მაგრამ თუ საქმით არაფერს გვიჩვენებენ, რა გამოვიდა. „ამირან გულში იმღერდა და ყმებო ბანი მითხარითო“, იმის არ იყოს, მხოლოდ ფიქრი და სურვილი არ კმარა. საჭიროა საქმე, მოქმედება, პრაქტიკული მუშაობა.

შემთხვევაც სწორედ ახლა არის. ნუ დაკარგავთ, ნუ ჩაატარებთ ტყუილ-უბრალოთ ამ ძვირფასს დროს, ისარგებლეთ შემთხვევით და აღიმაღლეთ ხმა ბოროტების წინააღმდეგ, თორემ გარწმუნებთ რომ არსებული კურსები ჯერ არაფრით არ განირჩევიან წინანდელი კურსებისაგან და იმათსავით არავითარ სარგებლობას არ მოგვიტანენ, თუ ასე განაგრძეთ დუმილი.

საჭიროა ენერგიული მუშაობა, საქმით რისამე გაკეთება, და არა მარტო გეგმების შედგენა.

მასწავლებელი ქალი.

◆

ალექსანდრა მაკარის ასული კნეინა მელიქიშვილისა.

თფილისში გარდაიცვალა ალექსანდრა მაკარის ასული მელიქიშვილისა. განსვენებული ასული იყო თავად მამუკა ორბელიანისა და მეუღლე მეფის მოადგილის თანაშემწეთ ყოფილ გენერალ-ადიუტანტ თავად ლევან მელიქიშვილისა, მისის სიკვდილით საფლავში ჩადის ძველი წარმომადგენელი ქართულის არისტოკრატიისა, იმ არისტოკრატიისა რომელსაც ერთხელ ძალაც ჰქონდა და გავლენაც საქართველოში, ამიტომ განსვენებულს სიკვდილამდი შენარჩუნებული ჰქონდა ყველა ის თვისება, რომელიც ახასიათებდა ძველს ქართულ არისტოკრატიას, სიყვარული საზოგადო საქმისადმი, ლიტერატურისადმი და ქველმოქმედებისადმი. განსვენებულმა კნეინამ ზედ მიწევნით იცოდა ქართული და სალაპარაკო ენათაც ჰქონდა. მისი მეუღლე თავადი ლევან მელიქიშვილი სიყმაწვილეში და შემდეგაც ძალიან ახლო უდგა ქართულს ლიტერატურულ წრეებს. ეს იყო ბარათაშვილისა და გრ. ორბელიანის ხანაში. არც თვით ალექსანდრა მაკარის ასული ერიდებოდა ლიტერატურას და მისი ნაწარმოები „ცისკარში“ იბეჭდებოდა. იბეჭდებოდენ მისი ნაწარმოებნი. აგრეთვე „ივერიაშიც“. მაგრამ, რასაკვირველია ლიტერატურა მისი მთავარი მიზანი არ იყო. როგორც ჭეშმარიტი არისტოკრატი, იგი უფრო ქართული მაღალი საზოგადოების საუკეთესო წარმომადგენელი იყო და მაშინაც კი, როცა მისმა ოჯახმა დიდ ხარისხს მიაღწია და მისი მეუღლე დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის თანაშემწეობას ეწეოდა და თვითონ კი ,,კავალერსტვენნაია დამის'' ხარისხით იყო დაჯილდოებული, იგი დარჩა კეთილ ქართველ ადამიანად. განსვენებული კნეინა ბევრსა სწირავდა ქართულ ეკლესია-მონასტრებს გასამშვენიერებლად, ეწეოდა ახალგაზდობას და სასწავლებლებს. უკანასკნელად, მაშინაც კი, როცა მხედველობა დროებით დაკარგული ჰქონდა, იგი ითვლებოდა თფილისის ეპარქიალური სასწავლებლის მზრუნველათ და უყურადღებოთ არ სტოვებდა სასწავლებლის საჭიროებათ. —ბი.

დამხმარე საზოგადოება.

,,სანატორიუმი შოვი''

(რაჭის მაზრა ქუთაისის გუბერნია).

იმედი მაქვს, რომ წაიკითხავთ ამ მოკლე ბარათს გამგეობისას, რომლითაც გაუწყებთ თქვენ, პატივცემულო მკითხველო, თუ რა კეთილშობილურ უანგაროსა და დიდათ სიმპატიურ მიზანს ელტვის დამხმარე საზოგადოება „შოვის სანატორიუმისა,“ რომლის წმინდა დროშის ქვეშაც შემოკრებილი არიან პირნი ყოველგვარი პროფესიისა, სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა, დაწყებული პატიოსან მუშიდან თვით უმაღლეს მეცნიერამდი. ყველანი გამსჭვალული არიან წმინდა საზოგადოებრივი ინტერესებით, მათ საგანს შეადგენს სანატორიუმისათვის საერთო შრომა, ზრუნვა და მოქმედება. ყველანი ეს მაშვრალნი თავისი პირადი ინტერესებისათვის საზოგადოებისაგან არაფერს ითხოვენ; მხოლოდ სურთ მთელ თავის სიცოცხლეში სანატორიუმზე იზრუნონ და განზრახვა აქვთ ააგონ რაჭის მაზრაში (შოვში) სახალხო სანატორიუმი იმ ქონებრივათ ხელმოკლე ავათმყოფებისათვის (ჭლექიანებისათვის, ნერვების სისუსტით, გულის სისუსტით და სხვა), რომლებიც უსახსრობის გამო, უდროოთ, უპატრონოთ სიცოცხლეს ესალმებიან; ბევრს მკითხველს კარგათ მოეხსენება, რომ ბრძოლა ჭლექთან, რომელიც მუსრს ავლებს კაცობრიობას, შესაძლო არის, თუ ბუნებისაგან მონიჭებულ ადგილებითა და ჰავით ვისარგებლებთ და შევქმნით შესაფერ პირობებს ავათმყოფებისათვის.

მიდამო შოვი, მდებარე რაჭის მაზრაში სამხედრო ოსეთის გზის ნაპირზე (სოფელ გლოლის მახლობლათ), ერთ საუცხოო, ბუნებით შემკულ ადგილს წარმოადგენს; ბუნებას აქ უხვათ დაუბერტყია თავისი კალთა, რომ ოდესმე ადამიანები მიმხვდარიყვენ მის სიმშვენიერეს, ავგოთ ის დიდებული ტაძარი, რომელშიც შეიკრიბებიან ცხოვრების დუხჭირი პირობებისაგან დაჩაგრული და დაავათმყოფებული არსებანი, ღრმათ დარწმუნებული ვარ, რომ ავათმყოფების 76 პროც. განიკურნებოდა და ჯანმთელი თავის შრომას დაუბრუნდებოდა. და ჩვენ ერთიც რომ რომ გამოვგლიჯოთ სიკვდილს, ესეც დიდ მოგებათ ჩაითვლება.

აი, ამაზე მოუწოდებს შოვის სანატორიუმის დამხმარე საზოგადოება'' ყველა მას, ვისაც სურს შემოწირულობით აღნიშნოს სახელი თავისი მიცვალებულისა, აგრეთვე თავის, მათაც, ვისაც სურს საპატიო წევრათ ჩაწერა, აგრეთვე ფართო მასას, თავის საწევრო ფულის შემოტანით (საწევრო ფული 3 მანეთია) დახმარება აღმოუჩინოს აღნიშნულ საზოგადოებას, რომელიც გულმოდგინეთ აგებს იმ გვარ სახალხო სანატორიუმს, როგორც „შოვის სანატორიუმია“.

ყოველივე წვლილი, რა მცირედის უნდა იყოს იგი, დიდის გრძნობით სულითა და გულით მიიღება იმ დიდებული ტაძრის საკუთხეველზე, რომელსაც ვუწოდეთ „სანატორიუმი შოვი“.

მოსკოველი გერმანელების ექსკურსია ქუთაისში.

ოთხშაბათს, 11 ივნობისთვეს, ნაშუადღევის ორ საათზე ქუთაისს ესტუმრა მოსკოვის რეფორმატიული გიმნაზიის (СОВМѢСТНАЯ ГИМНАЗІЯ ДѢВОЧЕКЪ И МАЛЬЧИКОВЪ) მოსწავლე ვაჟები და ქალები, რიცხვით 22 კაცი, მასწავლებლების ქალისა და კაცის ხელმძღვანელობით. გიმნაზიის გამგეები ტომით გერმანელები იყვნენ. ისინი დაბინავდენ კლასიკურ გიმნაზიაში.

საღამოს ხუთ საათზე გაეშურენ ქართველი ერის სიამაყის ბაგრატ მე-4 ტაძრის დასათვალიერებლათ. ერთი მასწავლებელთაგანი მათ აჩვენებდა ნანგრევებს და უყვებოდა ტაძრის ისტორიას ვიღაც რუსის მგზავრის წერილების მიხედვით. ჩვენ ქართული გიმნაზიის რამდენიმე მოსწავლე იქვე ვიდექით და როდესაც ერთი მოსწავლეთაგანი შეხტა ტაძრის ერთერთ დაბალ კედლის ნაპირზე და ფეხით სიმაგრის გაშინჯვა დაიწყო, ჩვენ მივუახლოვდით, დაწვრილებით გადავეცით ტაძრის ისტორია და ავუხსენით ზოგიერთი წარწერის მნიშვნელობა.

ყველაფერს ჩვენგან ნათქვამს მორიგი მოსწავლე სწერდა. ნანგრევების სიდიადით იყვნენ გატაცებული, როცა მოესმათ მშვენიერი გურული სიმღერა. თუმცა ეჩქარებოდათ, მაგრამ ვიდრე არ მოისმინეს, მანამ აღარ მოცილდენ იმ ალაგს. იქიდან რომ დავბრუნდით და ქალაქის ქუჩები გავიარეთ, ერთმა მასწავლებელთაგანმა შენიშნა: „ეს ქალაქი ძალიან ლამაზია, მაგრამ თან ძალიან მოუწყობელიო“. ამაზე აბა რა გვეთქმებოდა? მეორე დღეს გელათისა და მოწამეთის დასათვალიერებლათ მიემგზავრებოდენ. ჩვენ დავპირდით, რომ ერთ ერთი ჩვენგანი მათ გააცილებდათ ამ ადგილების დასათვალიერებლათ. მზრუნველი ქალი გაკვირვებით შეგვეკითხა: „როგორ? თქვენ ჩვენთვის ხვალინდელ დღეს გააცდენთო“? ის კი არ იცოდენ მათ, თუ რამდენ დროს ვკარგავთ სრულიად უმიზნოთ, და იმასვენ ინანებდა, თუ ასეთი საქმისთვის ერთ დღეს დავკარგავდით! მეორე დღეს გავემგზავრეთ გელათისაკენ წვანეყვავილით.

ქუჩის თავიდან, რომ დაინახეს ციხის ნანგრევები, ფერმა და ტყვიასავით მომდინარე რიონი პატარა კუნძულებით, ბუნების სილამაზით აღტაცებაში მოვიდენ. გზაში სულ საქართველოს ბუნების სიტურფეზე ლაპარაკობდენ. ერთ მაღლობ ადგილიდან დაინახეს ნაქერალას მთები.

მივედით გელათში. იმ დღეს იქ იმყოფებოდა ყოვლადსამღვდელო ეპისკოპოზი იმერეთისა გიორგი. იქაურმა ბერებმა წამსვე გააღეს მონასტრის კარები და დაგვათვალიერებიეს, რაც რამე ღირს შესანიშნავი იყო. ნაშთების ნახვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. გადაიღეს მონასტრის სურათები. დასხდენ სადილათ. მე ორი ბოთლი ღვინო მოვატანიე. ერთმა მგზავრთაგანმა შემნიშნა: „რა სტუმართმოყვარე ყოფილხართ, რათ იხარჯებით ჩვენი გულისათვისაო“. გულში ვიფიქრე: ორი ბოთლის ფასს ჯანი გავარდეს, მაგრამ თქვენ ის კი არ იცით, რომ მთელ საცხოვრებელს ქართველები სხვის სანაცვალოთ ფანტავენ-თქვა.

წავედით მოწამეთას, გზადაგზა სულ არ გელათის სიმდიდრეზე ქონდათ ლაპარაკი, ვიდრე მივაწიეთ მოწამეთას. ტაძრის დათვალიერებას შემდეგ, თითქმის ნახევარი საათი ხმა არ ამოუღიათ, ისე მოაჯადოვათ ადგილისა და ტაძრის სიმშვენიერემ. უნებურათ გამახსენდა პოეტი გრიშაშვილის ლექსის დაბოლოება, როცა სამშობლოს მიმართავს: „სიტყვებს, სიტყვებს ვერ ვპოულობ შენსა შესაფერსა, დავდუმდები და დუმილით გეტყვით ყველაფერსა“. კიდევაც გამართლდა ჩემგან ნაფიქრალი. ერთი მასწავლებელთაგანი მომიბრუნდა და მითხრა: „ძნელი ასაწერია სიმშვენიერე და სიდიადე თქვენი ბუნებისა და მონასტრისაო. სად. შვიდ საათზე დავბრუნდით ქუთაისს. მესამე დღეს დაათვალიერეს წყალწითელა; უყურეს სასროლი ბადით თევზაობას, დიდი ცნობის მოყვარეობით ათვალიერებდენ მიდამოებს. იმ დღეს მთხოვეს გამემართა ამხანაგების თანადასწრებით იმათი ხარჯით ნაციონალური ვახშამი ცეკვითა და სიმღერით. ვახშამი გავუმართეთ. შემთხვევით იქ მყოფმა ახალგაზდა მგოსანმა მჭედლიშვილმა თავისი ლექსები სთქვა. თუმცა ქართული არ ესმოდათ, მაგრამ მაინც დიდი ყურადღებით უსმენდენ. ლექსების დედა აზრი ერთმა სტუდენტმა გადაუთარგმნა.

წასვლის დროს დიდი მადლობა გადაგვიხადეს, და გიმნაზიის გამგემ თავისი გამოსათხოვარი სიტყვა ასე დაბოლოვა:

„სასურველია, რომ ტურფა საქართველო არ დადგომოდეს, გადაგვარების გზას და თავისებურობა შეენარჩუნებისო“. ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ახდენდა ამხანაგური განწყობილება მოსწავლე ვაჟთა და ქალთა შორის.

შაბათს, დილით თორმეტ საათზე, გაემგზავრენ ბორჯომისკენ და წასვლისას გამოთქვეს აზრი საქართველოში შთაბეჭდილებების გერმანულსა და რუსულ გაზეთებში აღნუსხვისა.

ზაალ ჩიხლაძე.

რუსეთი.

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

მინისტრთა საბჭოში.

მინისტრთა საბჭოს კრებაზე მოიწონეს ვაჭრობა მრეწველობის მინისტრის წინადადება, რომ გადადებული იყოს 788,000 მანეთი ახალი ნავსადგურების შესამოწმებლათ, დონის შესართავში კალაპოტის გასაღრმავებლათ და სხვა.

ტყეების გადაწვა.

სამხრეთ რუსეთის სხვადასხვა ადგილიდან ყოველდღე მოდის ცნობები გვალვის გამო ტყეებში ცეცხლის მძვინვარობის გამო.

გაერთიანებული თავად-აზნაურობის პროექტი.

გაერთიანებული თავად-აზნაურობის საბჭოში აღიძრა საკითხი შემუშავდეს კანონპროექტი, რომლითაც სახელმწიფო ვალდებული იქნება მასიური არეულობისა და მოძრაობის დროს დაზარალებულთ აუნაზღაუროს ზარალი. უმთავრესი მიზანი კანონპროექტისა არის დაიცვას მემამულენი აგრარული მოძრაობისაგან. ამ კანონპროექტის მასალებს აგვისტოში განიხილვენ. მანამდი კი ამავე საკითხის შესახებ საუწყებათაშორისო თათბირი მოხდება. (რ. ს.)

სინოდი და რასპუტინი.

ყოფილმა ბერ-მონაზონმა ილიოდორემ მიმართა სინოდს ახალის განცხადებით, რომელშიც ააშკარავებს რასპუტინის მოღვაწეობას. როგორც ამ განცხადებას, აგრეთვე წინანდელებს მსვლელობა არ მიეცემა. სინოდის აზრით, რასპუტინის მოქმედების განხილვა ეკუთნის არა სასულიერო, არამედ საერო მთავრობას. (რ. ს.).

ა. კონის ახალი წიგნი.

როგორც გადმოგვცემს „ბირჟ. ვედ“, სენატორი კონი მოკლე დროში გამოუშვებს თავის ახალს წიგნს: „სასამართლოს რეფორმის მამები და შვილები“. ამ წიგნში განხილული იქნება ბეილისის პროცესი.

მემარჯვენე პრესის თავაშვებულობა.

განაგრძობს რა თავის გალაშქრებას პროგრესისტ ჟურნალისტების წინააღმდეგ ოდესის პოგრომული გაზეთი „ზნამია“, დაიწყო ამავე ჟურნალისტების სურათების ბეჭდვა. ერთ ნუმერში დაბეჭდილია „ადეს. ნოვ.“ რედაქტორის ხეიფეცის სურათი და იქვე სწერია შემდეგი სიტყვები: სარაევო. მოკლულია და დაფლეთილი 200 „ჟიდი“. ოდესაში მყოფი სახ. სათათბ. წევრი ველიხოვსკი დაინტერესდა ამ შემაძრუწუნებელი ფაქტით და შეაგროვა ამ ნუმრის კოლეკციები. მას განზრახვა აქვს შეკითხვა შეიტანოს სათათბიროში ამის გამო. (რ. ს.).

უცხოეთი.

ჟურნალ-გაზეთებიდან·

ანგლიის ლორდთა პალატა.

ლორდ ლენსდოუნმა შესწორება შეიტანა, რომლითაც წინადადება შეაქვს, რომ ჰომრულის ბილის მოქმედება არ ვრცელდებოდეს ულსტერის მთელ პროვინციაზე განუსაზღვრელ ვადამდი: შესწორება მიიღეს, 136 ხმით 39 წინააღმდეგ.

სუფრაჟისტები.

სუფრაჟისტების წინამძღოლი ქ-ნი პანკჰერსტი კვლავ შეიპყრეს.

გოგელიას, აბაშიძის და სხ. დატუსაღება.

ტროინოვსკისა და კირიჩენკოს საქმის გამო ასაფეთქებელი მასალის შენახვის ბრალდებით შეიპყრეს უსტინოვი, მოროდეცკი, გოგელია და აბაშიძე. ყუმბარის შემდგენილობა და აგრეთვე ის გარემოება, რომ ბრალდებულნი შეიპყრეს იმ ადგილებთან, სადაც პუანკარეს უნდა გაევლო, სასამართლოს გამომძიებელს, საკმაო საბუთად მიაჩნია, რათა შეპყრობილთ პრეზიდენტის განზრახვა მოკლის აბრალოს.

დემონსტრაციები.

რადგანაც უარჰყვეს საჩივარი ვენაში ჩეხური სკოლების გახსნის წინააღმდეგ, ამიტომ ყოველდღე ჩეხელების საწინააღმდეგო დემონსტრაციები იმართება.

ჰერცჰერცოგის მოკვლის გამო.

ბუდაპესტის პალატაში ანდრიაშის შეკითხვაზე ტისამ უპასუხა: გამოძიებამ გამოარკვია, რომ სარაევოში მომხდარი მკვლელობა ჩადენილია ბოროტმოქმედთა ბრბოს მიერ და ამიტომ ამ ფაქტისაგან საერთო დასკვნის გამოყვანა შეუძლებელიაო. მცხოვრებლები ლოილობას იჩენენ და საუკეთესო იმედებით არიან განსჭვალულნი. ამიტომ ფრიად სამწუხაროა ის ექსცესები, რომელიც მკვლელობას შემდეგ პირველი აურზაურის დროს მოხდა უდანაშაულო სერბიელ მცხოვრებთა წინააღმდეგ. სასიხარულოთ, ამას უკვე ბოლო მოეღო. ტყუილია ცნობა, თითქოს ბოსნიაში რევოლუცია დაიწყო. რაც შეხება იმას, რომ შესაძლოა სერბიის მთავრობის წინაშე გალაშქრება, ტისამ განაცხადა, რომ არ შეუძლიან სთქვას რამე გადაჭრით, მხოლოდ ამას კი იტყვის, რომ ავსტრო-ჰუნგრეთის გარეშე პოლიტიკისათვის პასუხისმგებელნი არ დაავიწყდებათ მშვიდობიანობა.

კორიცის დაპყრობა.

ჰააგიდან ცნობაა: სამხედრო სამინისტროს ცნობით, კორიცა 25 ივნისს ეპირელებმა და მეამბოხეთა შეერთებულმა ჯარებმა დაიპყრეს.

ალბანეთის ამბები.

ნაციონალისტები აქამდი ერთადერთი მომხრენი იყვნენ მთავრობისა. ახლა კი მათაც შესცვალეს მთავრობისადმი განწყობილება. ზოგიერთებმა ის აზრიც გამოსთქვეს, რომ ქვეყნის მშვიდობიანობისათვის მართველმა თავი უნდა დაანებოს ალბანეთს. ასეთი ცვლილება იმით აიხსნება, რომ ნაციონალისტები სრულებით მოწყვეტილი დარჩენ დურაცოს დანარჩენ მცხოვრებთაგან, აგრეთვე მათ გაუცრუვდათ იმედები, რომელსაც პრენკ-ბიბ-დოდაზე ამყარებდენ. ამასთანავე ნაციონალისტები შიშობენ ესად-ფაშის აღმოჩენას, რომლის დურაცოში ფარულად მოსვლის შესახებ უკვე ხმები დადის. მართველის მდგომარეობა დღითიდღე უფრო ცუდია. სკუტარიდან იუწყებიან, რომ მაჰმადიანი მცხოვრებლები მზად არიან მეამბოხეთ შეუერთდენო.

სასამართლოში.

ტოკიოს საზღვაო სასამართლომ სახალთითუხეცესს ფუსაგას სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა 1912 წ. კრეისერ ,,ნისინის'' აფეთქების გამო. ხმები დადის, რომ ფუსაგამ საიდუმლო საბუთებით ისარგებლა და დანაშაულობის კვალის დაფარვის სურვილით კრეისერის თოფხანის ცეცხლის წაკიდებას შეეცადაო.

პასუხათ.

გაზ. „აზრის“ კორესპონდენტს ბ. „ოპოზიცია“-ს.

(დასასრული იხ. 91-ე №)

სახალხო სახლის საჭიროებასაც ყველა აღიარებს და თანამგრძნობიც ბევრი ყავს, მხოლოდ საშუალებაზეა საქმე. კომისიაც არჩეული იყო, რომელმაც დაახლოებით გამოიანგარიშა, რომ ეგ საქმე დაჯდება 3000—4000 მანეთამდი, საშუალებაზე რომ ჯერი მიდგა, დუმილი ჩამოვარდა; ეს ხომ საზოგადო სენია: თავის ჯიბეს ყველა უფრთხილდება საზოგადო საქმის დახარჯვის დროს და ზეციდან ფული არ ჩამოცვინდა, უშრომლათაც ვერ ვიშოვეთ და საქმე არ კეთდება. წინადადება იყო: ან შეწირულობით შეგროვილიყო ფული ან და პაიებით და საქმეს შევდგომოდით, მაგრამ ბ. „ოპოზიციამ„ და მისმა რაზმმა მოთაობა ვერ იკისრა; ის საცოდავი ათასი მანეთიც რომ მოგცენ, თქვენ საქმეს თავს ვერ მოაბამთ მაინც.

შუა მაისის რიცხვებში შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობის კრებას იხსენიებს ბ. „ოპოზიცია“, მაგრამ, არა მგონია, რომ დასწრებოდეს, თავისი თვალით ენახოს ის, რასაც დაუსწრებელი განჩინებით მკითხველს აუწყებს, მაგრამ ეგ მისთვის სულერთია. შეიძლება ბ. „ოპოზიცია“ იმავე ამხანაგობის კრებას დაესწრო მარტში ის თუ არა მისი რაზმელი მაინც, გაიგებდა იმ საჯიბრო თანხას, რომელმაც ეს არევ-დარევა გამოიწვია, სად და რა დანიშნულებისათვის გადასდვა კრება, რომ საკითხი არ შეგვეჩერებინა, ვინ ან რით მოხდა ასე? კარგად იცით, მაგრამ იტყვით კი სიმართლეს? დიაღ, კრება იმ დღეს რამდენიმე კითხვის გარჩევას შემდეგ, შეუდგა იმ თანხის საკითხს, რომელიც საერთო საქმეს უნდა დახმარებოდა, ბევრი ლაპარაკის მოსურნე აღმოჩნდა და საკითხიც კარგათ გამოირკვა; ერთი ნაწილი (უმრავლესობა) ახხელებდა) ხსენებული თანხა სასწავლებლისთვის გადადებულიყო, მეორე ნაწილი (უმცირესობა) სახალხო სახლს. ორივე კარგი, ორივე საჭირო და ორივე აუცილებელი. მე პირადათ განვმარტე ორივეს საჭიროება და მისი მნიშვნელობა და ბ. „ოპოზიციას“ არც მისთაგანს არ შეუძლია რაიმე ბრალი დამდვას, რომელიმე ცუდათ მეხსენებიოს. მხოლოდ ამას მოვახსენებ ბ. ოპოზიციას, რომ იმ კრებაზე უკმაყოფილება ორმა ორატორის სიტყვებმა გამოიწვია, რომლითაც შეეხენ სასწავლებელს და ცუდათაც ახსენეს, რისთვისაც ღირსეული პასუხი მიიღეს: „თქვენ ისწავლეთ და ახლა არ გინდათ, რომ ჩვენ რაიმე ვისწავლოთო“—კრებაში გაისმა. რომ მეტი უსიამოვნება არ გამოწვეულიყო დაისვა საკითხი: მიცემოდა იმ თანხის დახარჯვას დანიშნულება თუ არა ამ კრებაზე, გვიანდებოდა კიდეც, საღამო ხანი იყო და საკითხი გადაიდვა შემდეგისთვის. ბ. „ოპოზიცია“ ბრძანებს ბლაღოჩინის მრევლს მოეყარა თავიო, აქი მოგახსენეთ არ ბრძანებულა კრებაზე, თორემ უფრო გაარჩევდა, ან და თვლა არ ცოდნია და მოლანდებია მას, რაც მას, ხშირად დასჩემდა ბოლო ხანებში. დიახ, მე მრევლიც მყავს ჯიხაისში და

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვილების
ქუთაისში.
შაბიაბნის სითხით
ვენახების საქიმო მანქანები ვერმორელისა და პლატაცისა, გოგირდის საბერველები.

მევენახეთა საყურადღებოდ.
მიღებულია და იყიდება უმაღლესი ხარისხის ძლიერ ზომიერ ფასად ნამდვილი ინგლისური შაბიამანი,
გოგირდის ფხვნილი, ქაკმენის სითხე [illegible]
მანქანების ყოველგვარი რეზინებისა და სხვა მოწყობილობა.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.
ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა. მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილება; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოკრეპ ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის“ და სხვა პიანინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურათ მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.
პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალიერისა ქ. ქუთაისში.
ფ. ს. ფილიპოვისა. ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვკისრულობთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სალავათიან ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის ,,ვიკანდერ და ლარსონის'' სამუსიკო ინსტრუმენტების (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.
პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

ნათლიმამაც და, შესაძლებელია, კრებაზეც დაესწრო მერე რა? თუ სთქვა ფული სასწავლებლისათვის გადიდვასო—ეს რა ცოდვა ჩაუდენია, თუ მაინცდამაინც ის გნებავთ, თქვენი ფიქრით იფიქროს და თქვენის მსჯელობით იკვებოს, რატომ არ გინდათ ვინმე თავისი საკუთარი აზრი იქონიოს! ბლაღოჩინმა სთქვა: „თქვენთვის შკოლა უფრო სასარგებლოაო“. ესეც სიცრუეა, ეს სიტყვები იმ დღეს ჩემს ბაგეს არ უთქვამს, და თუ მეთქვა, რა ცოდვა ჩამიდენია. კიდევ გაგიმეორებთ: სკოლა ძლიერ და ძლიერ სასარგებლოა. ამით მე სახალხო სახლს სრულიად არ ვამცირებ.

ქსენონ-აფთიაქი და ექიმი ახალი საქმე არ არის ჩვენში. მართალია, ექიმი მიდის მაგრამ, ბ. „ოპოზიცია“ და მისთან, განა ის თქვენგან მოითხოვს გამოქომაგებას? სრულიად საჭირო არ იყო თქვენი აურზაური. ქსენონ-აფთიაქის საქმე გამოკეთებულია ეს ორი წელიწადია, წესდებაც მოეპოვება და მზრუნველი კომიტეტიც ყავს დაყენებული საზოგადოებას, რომელიც პატრონობს და ანგარიშს აძლევს საზოგადოებას. ასედაც უნდა იყოს რომ საქმეს პატრონობდეს ის, ვისაც ეკუთვნის. ექიმისთვის საჭირო უფლება არავის არ წაურთმევია, მის წასვლის მიზეზი არაფერი არევ-დარევა არ არის, ორი სამი წელიწადია სახელმწიფო ქსენონში ექიმების ადგილს ცდილობდა და მიიღო კიდევაც. მართალია, ჯამაგირის მომატება ითხოვა ამ ბოლო ხანს, რის საბუთიც კომიტეტის თავჯდომარის ხელშია, თხოვნა ვერ დააკმაყოფილა კომიტეტმა, ალბათ იმ მოსაზრებით, რაც 1910 და 1911 წლებში განიცადა და ქსენონ-აფთიაქს ვალიც დაედვა; ვისი და რისი ბრალიც იყო, იმას მე აქ არ შევეხები; მხოლოდ საქმე კრახს განიცდიდა. დიახ, სად ბრძანდებოდით მაშინ? რას ფიქრობდით? მაგრამ ეგ შეიძლება თქვენთვის ხელსაყრელიც იყო. დიახ, ამ განსაცდელის დროს მთხოვა საზოგადოებამ მიმეღო შრომა და მეკისრნა საქმის წარმოება, და იმ ჩემს ძმას დავითსაც, რომელიც არც კი დასწრებია იმ არჩევანს. მერმე რა მოხდა და ხდება კარგათ იცით ბ. „ოპოზიცია“ და ძმანო მისნო. მე ერთ წელს შემდეგ, რაკი საქმე მოწესრიგდა, კომიტეტის თავჯდომარეობას თავი დავანებე. და დავითი კი ხელმძღვანელობს დღემდი. მზრუნველი კომიტეტი ჯამაგირს ვერ მოუმატებდა ექიმს, ვიდრე ვალები სრულიად არ დაკმაყოფილდებოდა, რაც, იმედია, ამ ორ წელიწადში გასწორდება. ჩვენს ქსენონის ექიმს სახელმწიფო ქსენონებზე უმჯობესი პირობები აქვს, მხოლოდ განირჩევა სამსახურის უფლებებით.

ბ. ,,ოპოზიცია'' ბრძანებს: ჩვენ ავწონდავსწონეთო... თქვენ ვინ? არა მკითხეებმა, რის პასუხიც მიიღეთ! თქვენი მოქმედებით ერთგვარი სამსახური გაუწიეთ ბ. ექიმს, რომელიც კრილოვის არაკს მოაგონებს. რაც შეეხება მის პირად ღირსებას მე აქ არ შევეხები, ნეტავი თქვენ სულ არაფერი გეთქვათ ის სჯობდა; მას მისი საქმენი გამოაჩენენ. მოხდა ყრილობა. ბ. ექიმმა ხალხს განუმარტა მიზეზი მისი წასვლის და ასე დააბოლოვა: ,,მე ჯამაგირიც რომ მომიმატოთ, მაინც ვერ დავრჩებიო''. მგონი ეს სიტყვები წრფელის გულით იყო ნათქვამი ბ. ექიმისაგან და ამის შემდეგ შეიძლებოდა მომატებაზე ლაპარაკი საზოგადოების წინაშე? ეს მარტო, ბ. ,,ოპოზიცია'', თქვენ შეგშვენოდათ და სად ბრძანდებოდით, რატომ არ წარდექით ხალხის წინაშე და იმსჯელეთ, თუ ერთი-მეორის სუფლიორობდით და მაღლა ხმას ვერ იღებდით!

არავითარ მსჯელობისთვის ხელი არ შემიშლია, როდესაც საკითხები ყველა გათავდა ხალხს ავუხსენი ,,საცდელი მინდვრის'' დაარსება და სარგებლობა. ხალხმა სიამოვნებით მიიღო და განაჩენი დაადგინა. ესეც ცუდი საქმეა, თქვენის აზრით. ასეთია თქვენი აზრი. წინმსვლელობას ვინ უშლის ხელს, ბოლოს გამოჩნდება. განაგრძეთ თქვენ თქვენი კარტ-ნარდი-ღვინო-ლილიწი და სხვა. ხალხი კარგის გზით მიდის და გარკვეულიც აქვს თავისი გზა და მისი მოამაგე თუ ვინმე არის, იმასაც გაარჩევს და ყველას თავისას მიაგებს.

დანარჩენი, თუ საჭიროება მოითხოვს, შემდეგ.

ბლაღოჩინი დვ. ს. დევიძე.

თეატრი და ხელოვნება.

დ. ლანჩხუთში 26 ივნისს არდ. თეატრში თფილისის დრამატიულმა დასმა ვალ. შალიკაშვილის რეჟისორობით წარმოადგინა, ,,ოჯახის გაბედნიერება'' დრ. 4 მოქ. დ. ერისთავისა. ბ. ვ. გუნიამ თავისი სსცენო ნიჭით სწორეთ მოლოდინს გადააჭარბა, ყოველივე მისი მონოლოგების გამოთქმაში და ნაკვთების რხევაში ღრმათ გამოსჭვივოდა სიყვარული გრძნობათა განცდის ბუნებრივი შემოქმედებისა. ესევე ითქმის ბ-ნ შალიკაშვილზე (ვალიკო) და მგალობლიშვილზე (გიორგი). მგალობლიშვილი ნამდვილი შვილია სცენისა. მოისუსტებდა ბ-ნი ბარველი (ჭორაძე). ჭორაძე მლიქვნელი, გაიძვერა და ენა ტანია კაცია, რომელიც ითხოვს განსაკუთრებულ ნიჭს სსცენო ხელოვნებისას. მან ეს სუსტათ დაგვიხატა. ქ-ნ ტასო აბაშიძემ (ანეტა) ნატ. ჯავახიშვილმა (დედა) და მარო მდივანმა (მასწავლებელი ქალი) თავისი ჩვეულებრივი ნიჭითა და თამაშით აღტაცებაში მოიყვანეს დამსწრე საზოგადოება. წარმოდგენას ხალხი ბლომათ დაესწრო.

სკოპი.

დაბა-სოფელი.

ს. აბაშა (სენაკის მაზრა). ჩვენი ქვეყნის ყოველი კუნჭული სწავლა-განათლებას ელტვის, რის გამოც მრავალს კულტურულ დაწესებულებას აარსებენ, მაგრამ არაფერი ეშველა ს. აბაშის მცხოვრებთ სალათას ძილისაგან გამორკვევას. არა გვაქვს სამკითხველო-ბიბლიოთეკა, რომელიც თითქმის მიყრუებულ სოფლებშიაც კი დააარსეს. თუმცა შკოლები, სავაჟო და საქალო, არის, მაგრამ ამისთანა ყოფას, სულ არ იყოს, სჯობია. სავაჟო შკოლა, რომელიც სამსონ თოფურიას მეცადინეობით არის დაარსებული არა სასურველ მდგომარეობაშია, მაგრამ უარეს მდგომარეობაშია საქალო შკოლა, რომლის დაარსების ოთხი წელიც გავიდა და მეოთხე განყოფილება წასულ სექტემბერში მოუმატეს. ოთხივე განყოფილება ორ პაწია ოთახშია მოთავსებული, რის გამოც შკოლა ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. მოწაფეთა რიცხვი ასათი იყო, მაგრამ მათი რიცხვი მალე განახევრდა. ეს ასედაც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან ამდენ მოწაფესა ხელმძღვანელობდა ერთი მასწავლებელი ქალი, რომელმაც შეუძლოთ სცნო ამდენ მოწაფეებთან, ისიც ასეთ ანტისანიტარულათ მოწყობილ შკოლაში მეცადინეობა. ინსპექტორს რამდენჯერმე თხოვნით მიმართა სკოლისათვის რიგიანი შენობა მიეცათ, მაგრამ ყველა ეს თხოვნა „მღაღადებელ ხმათ“ დარჩა, ამიტომ მასწავლებელი ქალი იძულებული შეიქნა ადგილისათვის თავი დაენებებია. მაშინ დეკემბრის რიცხვებში ინსპექტორმა გამოგზავნა ახალი მასწავლებელი ქალი, რომელმაც იკისრა ამ ოთხი განყოფილების ხელმძღვანელობა ძველ პირობებში.

როგორც იქნა ინსპექტორმა მიაქცია ყურადღება გაქცეულ მასწავლებელ ქალის თხოვნას და მარტში ადგილობრივ მთავრობას მოსწერა საქალო სკოლის შენობა მოეწესრიგებიათ, როგორც ამას საჭიროება მოითხოვდა და მასთან მეორე მასწავლებელი ქალიც გამოგზავნა, რომელიც, დარწმუნებული ვიყავ, სკოლის მდგომარეობას გაუმჯობესებდა და სასურველ ნიადაგზე დააყენებდა, მაგრამ ბ.ბ. სკოლის უფროსებმა, „მზრუნველ“ ნიკოლოზა ქოიავას ხელმძღვანელობით ათასგვარ ხრიკებს მიმართეს, რომ ეს კარზე მომდგარი საქმე ჩაეშალათ. არ დაერიდენ ჯაშუშობას და შეუგნებელი ხალხის მოსყიდვას და როგორც იქნა მიაღწიეს მიზანს: ისედაც სიბნელით მოცულ ქვეყანაში, სინათლის სხივი განდევნეს.

დროა, აბაშის საზოგადოებამ თვალი გაახილოს და „შავი ძალების“ თავგასულ თარეშს ბოლო აღუკვეთოს. დროა, აქაურებმა ჭორებსა და კუთხე-კუთხე ჩურჩულს ყური არ ათხოვონ, თორემ ნიკ. ქოიავასთანა პირებს საზოგადოებისათვის არასოდეს არაფერი კარგი არ მოუტანია.

აბაშის მცხოვრები.

◆

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.

ამ მოკლე ხანში ქ. ქუთაისში გამოვა იუმორისტული ალმანახი.

„ბზიკი“

მსურველთ შეუძლიანთ მოგვაწოდონ მასალები შემდეგი მისამართით: Кутаисъ, типографія „Братство“ для „Бзики“,

ნ. ს. ტერკის მაღაზია
ქუთაისში
ველოსიპედები



შინები, ნაწილები და მოწყობილობანი კონკურენციის გარეშე
ყველაზე იაფად
ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

ქალაქის ამომრჩეველთა საყურადღებოდ

ქუთაისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ: 1) იმ პირთ, რომელთაც სურთ შეტანილ იქნენ საბოლოო საარჩევნო სიაში და მონაწილეობა მიიღონ ქუთაისის ქალაქის საბჭოს **ხმოსანთა არჩევნებში** მომავალი ოთხი წლისთვის (1914—1918 წ. წ.), საქალაქო დებულების მე-8 მუხლის თანახმად, **უსათუოდ უნდა შემოიტანონ მათზე დარჩენილი საქალაქო გადასახადის „ნედოიმკები“** ნახევარი წლის გადასახადზე მეტი.

2) ის პირნი, რომელნიც საბოლოო საარჩევნო სიაში არ იქნებიან შეტანილი, **არჩევნებში მონაწილეობას კარგვენ.**

3) საქალაქო დებულების 24-ე სტ. მე-17 განყოფ., მე-2 მუხ. თანახმად, **იმ თანამემამულეებმა**, რომელნიც ქალაქის გამგეობის მიერ პირველ საარჩ. სიაში შეტანილი არიან საერთო სახელით „**მემკვიდრეები** ამა და ამ პირისა“, უნდა წარმოადგინონ თავის დროზე—და არა უგვიანეს მდგომარე 1914 წლის აგვისტოს 1 რიცხვისა—კანონით დაწესებული საბუთი, სადაც **უნდა ჩამოთვლილი იქნეს ცალცალკე ყველა მემკვიდრე**, რომ ეს მემკვიდრეები შეტანილი იქნენ საბოლოო საარჩევნო სიაში. 5—4

სახალხო განათლების მინისტრის განკარგულებაში მყოფის ინჟინერ მ. ნ. ვინოგრადოვის, მიის მზომლობისა, საამშენებლო და სამეურნეო განყოფილებიანს

თფილისის პოლიტეხნიკურ კურსებზე

პირველ სემესტრში გამოუცდელათ მიიღებიან: 1872 წლის დებულების სამოქალაქო სასწავლებლისა, ან და მისი მოთანასწორე სასწავლებელ დასრულებული პირები. მიწისმზომლობის განყოფილების დამსრულებლებს, თუ საჭიროება იქნება, სამიჯნულო ნაწილის გამგე თანაშემწეების კანდიდატებათ და მიწის მომწყობი კომისიის მიწის მზომლებათ ირჩევს. (სამიჯვ. ნაწ. გამგის 1914 წ. 22 თებერვლის 1072 ნუმრის მოწერილობა). მიწისმზომლობის განყოფილებაში ორი წლის კურსია, საამშენებლოსა და სამეურნეოსაში კი ორი წლინახევრის. პროსპექტებს ვგზავნით ექვსი შაურის საფოსტო მარკების მიღებისთანავე.

მისამართი: თფილისი, პუშკინის ქ. № 8 ტელ. 10—30.

სახლის პატრონთა საყურადღებოთ.

წრეულს თქვენ დაგჭირდებათ შეკეთება თქვენი სახლის, მაშასადამე უეჭველათ საჭირო იქნება თქვენთვის საღებავი მასალები, თავისთავათ ცხადია, დაიქირავებთ მღებარს (მალიარს) და წახვალთ რომელიმე სავაჭროში საღებავების საყიდლათ, იმ იმედით რომ თქვენ მიერ ნაქირავები მღებარი შეატყობს საღებავი მასალების ღირსებას, მართალია ეს? სულაც არა! საღებავების ღირსებას თვალით კარგი გამოცდილი ქიმიკოსიც ვერ შეატყობს, მაშ როგორ სჯობია მოიქცეთ? გირჩევთ მიიქცეთ

მმ. ედ. და პ. სააკაშვილების სავაჭროში
ქუთაისში

პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი, რადგან მათ მიერ მოტანილი საღებავი მასალები შემოწმებულია ქუთაისის ქიმიკურ ლაბორატორაში და აღმოჩნდა საუკეთესო ღირსების. აქვე იშოვით კარის, სარკმლისა და ფეჩის მოწყობილობას, აგრეთვე ალიბასტრს, ცემენტს, სახურავ თუნუქს თეთრსა და შავს, ფანჯრის მინებს შპალერს და სხვა მრავალს რკინეულ საქონელს.



ქ. ქუთაისში. (საკ. ტაძართან).

ა. თაბაგარის მაღაზიაში.

მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანები, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევი.

ფასები ძლიერ დაკლებულია.

ვყიდით ნისიათაც, თვიური შემოტანით.

სტამბა „[illegible]“, პუშკინის ქუჩა სახლი გოკიელოვის.